

საქართველოს დემოგრაფიული პრობლემები და მათი გადაჭრის
გზები

DEMOGRAPHIC PROBLEMS IN GEORGIA AND METHODS OF THEIR
SETTLEMENT

ირმა ჩხაიძე

ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა
რუსთაველის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტის ასოცირებული პროფესორი

IRMA CHKHAIDZE

Doctor Of Economics, Associate Professor of
Batumi State University

ანოტაცია

თანამედროვე ეტაპზე უმნიშვნელოვანესია დემოგრაფიული პრობლემები, რომლებიც რეალური საფრთხის წინაშე აყენებს ცალკეულ ერებს, და მათ შორის ქართველ ერსაც. საქართველო ორ ათეულ წელზე მეტია, იმყოფება აღნიშნული საფრთხის წინაშე, რასაც განაპირობებს ქვეყანაში წლების მანძილზე არსებული მძიმე ეკონომიკური პრობლემები და შექმნილი არასტაბილური ვითარება.

სტატიაში დემოგრაფიული პრობლემების უმთავრეს ობიექტს წარმოადგენს საქართველოში არსებული დემოგრაფიული პრობლემების (მოსახლეობის რაოდენობის ყოველწლიური შემცირება, შობადობის კრიზისულ ზღვრამდე დაცემა, სიკვდილიანობის და მკვდრად შობადობის მაღალი დონე, მოსახლეობის ბუნებრივი მატების კლება, შრომისუნარიანი მოსახლეობის შემცირება, მოსახლეობის დაბერების ზრდის ტენდენცია, ფართო მაშტაბიანი შიდა და გარე მიგრაციული პროცესები) გამომწვევი მიზეზების შესწავლა და რეფორმების მიმდინარე პროცესების გაანალიზება.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე მკაფიოდ გამოკვეთილი, როგორც მოსახლეობის შემცირების ისე ერის დაბერების ზრდის ტენდენციის გამომწვევ მიზეზებად სახელდება სიკვდილიანობის და მკვდრად-შობადობის მაღალი დონე, შობადობის კრიზისულ ზღვრამდე დაცემა, ფართო მაშტაბიანი გარე და შიდა (სოფლის მოსახლეობის ქალაქად გადინება) მიგრაციული პროცესები. აღნიშნული დემოგრაფიული პრობლემების აღმოფხვრისათვის მიზანშეწონილია სახელმწიფოს მიერ აქტიური თანმიმდევრული პოლიტიკის განხორციელება. ამრიგად, ქვეყნის დემოგრაფიული განვითარება, მიგრაციული პროცესები და მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: დემოგრაფიული პრობლემები; სახელმწიფოს რეგულირებადი როლი.

Annotation

Nowadays demographic problems, which threaten separate nations including the Georgian nation, are very important. During more than two decades Georgia faces this threat which is caused by a difficult economic situation and an unstable situation in the country.

This article deals with studying of the reasons of the demographic problems in Georgia (annual reduction of the population, falling of the level of birth rate to the crisis point, high number of mortality and stillbirth, decrease in natural growth of the population, reduction of the number of able-bodied population, a tendency of growth of population aging, large-scale external and internal processes of migration) and the analysis of the current problems of the changes in this sphere.

Since the end of the 20th century the main reasons of population aging and decrease of population are high rate of mortality and stillbirth, falling of the number of birth rate to the critical point, large-scale internal and external processes of migration (migration of rural inhabitants to the cities). It is recommended to carry out active consistent policy by the state to prevent these migration processes. Thus, demographic development of the country, migration processes and natural movement of the population significantly influences social and economic development of the country.

Keywords: demographic problems; controlling role of the state.

შესავალი

საქართველოში დემოგრაფიული საკითხები მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს და ჩატარებული კვლევების მიხედვით ყოველთვის შედის პრობლემატურ საკითხთა სიაში, რის გამოც **ნაშრომის კვლევის მიზანია** არა მხოლოდ დემოგრაფიული პრობლემების შესწავლა-გაანალიზება და გამომწვევი მიზეზების დადგენა, არამედ დემოგრაფიული პრობლემების გავლენის ზემოქმედება ქვეყნის განვითარებასა და სახელმწიფოს მიერ დროული თამინდვერული ღონისძიებების განხორციელება.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე განსახორციელებელი ამოცანებია: შევავსოთ წლების მანძილზე წარმოშობილი დემოგრაფიული პრობლემების გამომწვევი მიზეზები; გავაანალიზოთ, თუ ქვეყნის დემოგრაფიული განვითარება, მიგრაციული პროცესები და მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა, როგორ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

კვლევის ორიგინალობა (ავტორის **წვლილი**) კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა საქართველოს დემოგრაფიული პრობლემების გამომწვევი მიზეზების ზრდის პარალელურად როგორც არსებული ასევე წარმოქმნილი პრობლემატური პროცესების შესახებ მონაცემთა თავმოყრის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, ჩატარებული კვლევის შედეგები, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები, უცხოელ და ქართველ ექსპერტთა შეფასებები.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების ტენდენცია დაფიქსირდა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. 2016 წლისათვის მოსახლეობის რიცხოვნობამ შეადგინა 3720,4 ათასი კაცი, რაც 2000 წელთან შედარებით შემცირებულია 16,1%-ით, 2007 წელთან შედარებით კი 15,3%-ით. 1990-2008 წლებში ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობა შემცირდა 19,5%-ით, 1990- 2010 წლებში 22.72 %-ით, 2013 წელს 2012 წელთან შედარებით 0.31%-ით მაშინ, როდესაც მათი რიცხვი 1975-1990 წლებში გაიზარდა 11%-ით.

საქართველოში 2010 წელს გაერთიანებული ერების **მოსახლეობის ფონდის მიერ** ჩატარებული **კვლევებით** 2050 წლისთვის საქართველოს დემოგრაფიული კატასტროფა ემუქრება, ქვეყნის მოსახლეობა 28%-ით, ანუ 1 170 000 კაცით მცირდება. USAID-ის მონაცემებით, 232 ქვეყანას შორის საქართველო მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების ტემპით მე-16-ე ადგილზეა.

საერთო დემოგრაფიული მაჩვენებლების გაანალიზების საფუძველზე დადგინდა, რომ 1990 წლიდან დღემდე საქართველოს მოსახლეობის ყოველწლიური შემცირების მიზეზად სახელდება

როგორც 18-50 წლის ასაკის მოსახლეობაში ფართო მასშტაბიანი შიდა და გარე მიგრაციული პროცესები ასევე შობადობის დაბალი მაჩვენებელი და სიკვდილიანობის მაღალი დონე.

საქართველოში დაბადებულთა რიცხოვნობა 2011 წელს 2010 წელთან შედარებით შემცირდა 7,30%-ით, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში მოსახლეობის ათას სულზე დაიბადა 40 ბავშვი, 1913 წელს-28, 1960 წელს-24, 1990 წელს-17, 2007 წელს-11 ბავშვი. ჩვენს ქვეყანაში ყოველ 100 ქალზე 1960 წელს მოდიოდა 259 და 2007 წელს-173 ბავშვი, მაშინ როდესაც მოსახლეობის თუნდაც მარტივი აღწარმოებისათვის აუცილებელია ეს მაჩვენებელი იყოს 210 ბავშვი. ქართულ მოსახლეობაში შობადობის კოეფიციენტი თითქმის 1,5-ჯერ დაბალია შესაბამის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით. შობადობის შემცირების მიზეზებია სოციალური, პოლიტიკური, ეთნიკური, ფსიქოლოგიური, და ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც აისახება ოჯახის სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობაში.

აღსანიშნავია ევროპის ქვეყნების საფრანგეთის, ესპანეთის, იტალიის, გერმანიის საპირისპირო მაგალითი, სადაც ერთი მხრივ მაღალია დასაქმებულთა რაოდენობა, ცხოვრების მაღალი დონე, და, მეორეს მხრივ ამ ქვეყნებში ყველაზე დაბალი შობადობაა. აღნიშნული მაგალითის საფუძველზე გამოდის, რომ თითქმის შობადობაზე გავლენას არ უნდა ახდენდეს ეკონომიკური პირობები. მაგრამ ეს არასწორი წარმოდგენაა, აღნიშნულ ქვეყნებში ეკონომიკური პირობები მნიშვნელოვანია (bavSvis აღზრდის ხარჯები ოჯახის ბიუჯეტში უცხოეთშიც და საქართველოშიც დიდ ადგილს იკავებს) რასაც თან ერთვის ცხოვრების დაძაბული რიტმი.

საქართველოში შობადობასთან ერთად სიკვდილიანობის მაჩვენებელი ტრადიციულად დაბალი იყო (ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები), როგორც უშუალოდ მეზობელ სახელმწიფოებთან, ისე ევროპის მთელ რიგ ქვეყნებთან შედარებით. საქართველოში ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის კოეფიციენტი, რომელიც გენდერული მდგომარეობის არსებითი მაჩვენებელია, დაახლოებით 5-ჯერ აღემატება განვითარებულ ქვეყნებში არსებულ დონეს. ბავშვთა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი დაკავშირებულია ქალის რეპროდუქციული უფლებების დაცვასთან, ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის არსებულ მდგომარეობასთან და სამედიცინო მომსახურების დაბალ დონესთან.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში 2007 წლისათვის გარდაცვლილთა რიცხოვნობამ შეადგინა 41178 კაცი, რაც 2016 წლისათვის მათი რიცხვი გაიზარდა (50771 კაცი) 23,3 %-ით. გაეროს მონაცემებით საქართველოში სიკვდილიანობის დონე 2000-2005 წლებში შეადგენდა წელიწადში საშუალოდ 49 ათასს, ხოლო 2005-2010 წლებში წელიწადში საშუალოდ 52 ათასამდე გაიზარდა. ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვლილთა რაოდენობამ 2007 წელს შეადგინა 656 ბავშვი. 2010, 2012 და 2016 წლებ-

ში შესაბამისად შეადგინა 701, 703 და 507 ბავშვი. არსებული მონაცემების მიხედვით საქართველოში ყველაზე მეტი ბავშვი 1961 წელს დაიბადა და შეადგინა 104 ათასი ბავშვი. 1960-1990 წლებში ყოველწლიურად საშუალოდ 93 ათასი ბავშვი იბადებოდა, ხოლო 1991-2010 წლებში შემცირდა და წელიწადში საშუალოდ 55 ათასი შეადგინა. 2005-2010 წლებში წელიწადში დაახლოებით 53 ათასამდე დავიდა. შობადობის მკვეთრი შემცირება 1992 წლიდან დაიწყო. კვლევებით დგინდება, რომ მუსულმანურ ქვეყნებში (აზერბაიჯანი და სხვა) გაზრდილია შობადობა, კერძოდ თუ ჩვენთან 1000 კაცზე იბადება 10 ბავშვი, იქ იბადება 20, 30, 40 ბავშვი. შობადობის და სიკვდილიანობის მაჩვენებელთა ურთიერთშეჯერებით შეიძლება დავასკვნათ, რომ შობადობის შემცირების და სიკვდილიანობის ზრდის (ან სტაბილური) პარალელურად მოსახლეობის ბუნებრივი მატება დაცემის ტენდენციით ხასიათდება. მოსახლეობის ბუნებრივი მატებამ საქართველოში 2007 წელთან შედარებით 2012 წელს შემცირდა 5,3%-ით, 2012 წელს 2016 წელთან შედარებით შემცირდა 24,5%-ით. სტატისტიკური მონაცემებით ჩვენს ქვეყანაში 2009 წელს დაიბადა 16 752 ბავშვი, ხოლო 2016 წელს 2009 წელთან შედარებით დაბადებულთა რიცხოვნობა შემცირდა 65,4%-ით (2007-2016 წლებში შობადობის ყველაზე დიდი მაჩვენებელი ფიქსირდება 2009 წელს, ყველაზე მცირე მაჩვენებელი 2016 წელს), 1963 წელს დაიბადა 106 000 ბავშვი, ანუ მოსახლეობის ბუნებრივი მატების თვალსაზრისით საქართველოსთვის აღნიშნული წელი სარეკორდო იყო ეს მაშინ, როცა საქართველოს მოსახლეობა არსებულთან შედარებით მილიონნახევრით ნაკლები იყო. შესაბამისად წინა წლებთან შედარებით, ბოლო წლებში საქართველოში ბუნებრივი მატება 10-ჯერ შემცირდა.

ხეშოთ აღნიშნულ პრობლემებს თან ერთვის ფერტილურ ასაკში ახალგაზრდობის უცხოეთში გადინების პრობლემა. საერთოდ, ბავშვთა დაბადების ძირითადი - 60% მოდის 20-29 წლის ასაკის ქალებზე და საქართველოდან ემიგრაციაში შრომითი პირობების გასაუმჯობესებლად მიდის სწორედ 20-დან 40 წლამდე ახალგაზრდა.

შობადობის შემცირების მიზეზი განაპირობებს ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებას. ექსპერტთა შეფასებით საქართველოში დღეისათვის ერთდროულად დგას როგორც მოსახლეობის შემცირების, ისე ერის დაბერების ზრდის ტენდენცია რომლის შეჩერებისა და შემცირებისათვის მიზანშეწონილია აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელება რაც უპირველესად მოითხოვს შობადობის სტიმულირებას, და ამასთან, მოკვდავობის შემცირებას. ერის დაბერების ზრდის პრობლემა განვითარებული ეკონომიკური ქვეყნების მახასიათებელიცაა. გაეროს ექსპერტთა შეფასებით ბევრი განვითარებული ქვეყნების მსგავსად იტალიაში, გერმანიაში და საფრანგეთში შობადობის კლების პარალელურად შეინიშნება ხანდაზმულთა წილის ზრდა. ეკონომიკური თანამ-

შრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მონაცემებით, 65 წელს გადაცილებულთა ხვედრითი წილი საფრანგეთის მოსახლეობაში 25%-ს აღწევს, 2050 წელს მოსალოდნელია, რომ მიაღწიოს 50%-ს. რაც განაპირობებს უფროსი ასაკის მოსახლეობის სოციალური დაცვის უზრუნველყოფაში პრობლემების შექმნას. თუ კი მე-20 საუკუნეში ნორმას ერთ პენსიონერზე 4-5 შრომისუნარიანი ადამიანი წარმოადგენდა ტიპურ შეფარდებად განვითარებად ქვეყნებში უკვე ორი ან ერთი შრომისუნარიანი ადამიანის ერთ პენსიონერთან შეფარდება იქცა. ამრიგად, მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც შობადობის შემცირების მიზეზით ხდება, ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილება, გარდა ამისა გაიზარდა საპენსიო ასაკის ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობაც.

საკითხისადმი პრობლემატურ მიდგომას განაპირობებს მზარდი შიდა და გარე მიგრაციული პროცესები. ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე მიმდინარე შიდა მიგრაციული პროცესები განპირობებულია ძირითადად სოფლის მოსახლეობის ქალაქში გადმოსვლით, რომლის მიზეზად სახელდება სოფლად არსებული რთული ვითარება, რაც განაპირობებს სოფლიდან ახალგაზრდების გადინებას ეს კი სოფელში შობადობის დონის შემცირებას იწვევს. 2016 წელს ქალაქის მაცხოვრებელი შეადგენს ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 57,2%-ს, რაც 2007 წელთან შედარებით გაიზარდა 4,7%-ით, ხოლო 2016 წელს სოფლის მოსახლეობა შეადგენდა მთლიანი მოსახლეობის 42,9%-ს, რაც 2007 წელთან შედარებით შემცირდა 4,7%-ით. ამრიგად, სოფლად შობადობის დონე წინა წლებში უფრო მაღალი იყო და დემოგრაფიის აზრით ხშირ შემთხვევაში ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა სწორედ ამის ხარჯზე იზრდებოდა. ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემებით მგდომარეობა საგრძნობლად შეიცვალა.

შიდა მიგრაციული პროცესი გადაიქცა საერთაშორისო მიგრაციად. სხვა ქვეყნების მსგავსად საქართველოშიც მიგრაციის ერთნაირი მიზეზები იკვეთება, რომლებსაც მიეკუთვნება უმუშევრობა, დაბალი შემოსავალი, რთული სამედიცინო პრობლემების გადაჭრა და უკეთესი ცხოვრების მოლოდინი საზღვარგარეთ. მიგრანტების დიდი ნაწილი ირჩევს ისეთ ქვეყნებს, როგორცაა: ავსტრია, გერმანია, საფრანგეთი, საბერძნეთი და პოლონეთი. ამას გარდა, დიდი რაოდენობით საქართველოს მოქალაქეები ცხოვრობენ დსთ-ს ქვეყნებში, განსაკუთრებით რუსეთსა და უკრაინაში.

ექსპერტთა შეფასებით საქართველო ბოლო 5 წლის განმავლობაში დატოვა მოსახლეობის დაახლოებით 15-25%-ი. (ამ მაჩვენებლებში იგულისხმება საქართველოს მოსახლეობის 1999 წლის აღწერით დადგენილი რაოდენობის შესაბამისი პროცენტი).

გაეროს მონაცემებით 2000-2005 წლებში საქართველოდან მიგრაციის რაოდენობა წელიწადში საშუალოდ 62 ათასამდე, ხოლო 2005-2010 წლებში 50 ათასამდე შემცირდა. ექსპერტთა შეფასებით

1992-2003 წლებში მზარდი გარე მიგრაციის შედეგად მათმა რაოდენობამ ნახევარ მილიონ ადამიანს გადააჭარბა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით 2002 წელს მიგრაციულმა სადღომი შეადგინა -27,8 ათასი კაცი და იგი 2000 წელთან შედარებით შემცირდა 7,4 ათასი კაცით. მიგრაციული სადღომი 2007 წლისათვის შემცირდა -20,7 ათას კაცამდე, ხოლო 2008 წლისათვის -10,2 ათას კაცამდე. სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე საქართველოს მსგავსად მიგრაციის პრობლემა მოქმედებს ყველა განვითარებად ქვეყნებში, სადაც ყოველი მეათე ადამიანი მიგრანტია. გაეროს შეფასებით 1975 წლიდან დღემდე მსოფლიოში მიგრანტთა რაოდენობა გაორმაგდა (რასაც განსაკუთრებით ხელი შეუწყო ბოლო ოცწლეულის გეოპოლიტიკურმა ცვლილებებმა) და მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 3%-ი, ანუ 175 მილიონი ადამიანი დღეს არ ცხოვრობს იმ ქვეყანაში, სადაც დაიბადა, რაც მეტყველებს მიგრაციის მასშტაბების ზრდაზე.

განვითარებადი ქვეყნებისაგან განსხვავებით განვითარებულ ქვეყნებში მიგრანტთა რაოდენობის ზრდა დიდი შვებაა ამ ქვეყნებისთვის, სადაც მოსახლეობის და, შესაბამისად, მუშახელის ნაკლებობაა. მიგრანტების რაოდენობის ზრდა განვითარებული ქვეყნების პენსიონერთა იმედებსაც ასაზრდოებს - სოციალური დაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. განვითარებად ქვეყნებს, ერთის მხრივ სადაც მოსახლეობის სიჭარბეა, მიგრაცია შევებას პვერის. მეორე მხრივ, მიგრანტები ოჯახის წევრებისთვის, როგორც წესი, შემოსავლის წყაროს წარმოადგენენ. გაეროს ბოლო ანგარიშში მსოფლიო მიგრაციულ პროცესებზე აღნიშნულია, რომ მიგრანტთა მიერ თავთავიანთ ქვეყნებში ახლობლებისთვის გაგზავნილი ფული მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად იქცა. მაგალითად, 2000 წელს საზღვარგარეთიდან საკუთარი მოქალაქეების მიერ სამშობლოში გაგზავნილი ფული ალბანეთისა და ბოსნიის მთლიანი შიდა პროდუქტის 10% შეადგინა.

თანამედროვე მიგრაციას მოთხოვნა-მიწოდების ფაქტორიც განაპირობებს, რომელიც ასევე რამდენიმე ასპექტს შეიცავს: პირველი არის დემოგრაფიული ფაქტორი ევროპის მოსახლეობა მცირდება და ბერდება. ამიტომ იქ დიდია მოთხოვნა როგორც მაღალკვალიფიციურ, ისე დაბალკვალიფიციურ მუშახელზე. საკითხის მეორე მხარეს ის წარმოადგენს, რომ ბევრ ქვეყანაში ძალიან მაღალია მოსახლეობის რაოდენობის ზრდის კოეფიციენტი; განსაკუთრებით სამხრეთ აზიასა და აფრიკაში, და ეს ქვეყნები მუშახელის წყაროს წარმოადგენენ. და მაშინაც კი, როცა განვითარებადი ქვეყნების მოქალაქეებს თავიანთ ქვეყნებში სამუშაო აქვთ, მათ უკეთესი შემოსავალი უნდათ და ამიტომ ხდებიან მიგრანტები.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო მასშტაბით მოქმედი მიგრაციის გამომწვევი პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური, სოციალურ-კულტურული, ბუნებრივ-ეკოლოგიური, ასევე ნებაყოფ-

ლობითი, იძულებითი, მუდმივი და დროებითი მიგრაციის მიზეზების შედეგად მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნების მსგავსად საქართველოდან გადინება მოხდა მეტწილად შრომისუნარიანი და რეპროდუქციული ახალგაზრდებისა, რამაც მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის და რიცხოვნობის ფორმირებაზე, შობადობის კლებაზე, მუშახელისა და კვალიფიციური კადრების ნაკლებობაზე და სხვა.

დასკვნა

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ქვეყანაში განვითარებული, როგორც პოლიტიკური ასევე მძიმე ეკონომიკური პრობლემები გახდა საწყისი საფუძველი დემოგრაფიული პრობლემების გამომწვევი მიზეზებისა, რომლებიც თანამედროვე ეტაპზე ექვემდებარება ეკონომიკურ გაანალიზებასა და შეფასებას. დემოკრატიული მოწყობისაკენ მიმავალი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო მმართველობით სისტემაში, საწყის ეტაპზე რთული აღმოჩნდა დემოგრაფიული პრობლემების გამომწვევი მიზეზების შეჩერება და შეუძლებელი გახდა ეფექტური და დროული რეფორმების განხორციელება.

კვლევის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები გამოიხატება საქართველოში არსებული დემოგრაფიული პრობლემების აღმოფხვრისათვის სახელმწიფოს მიერ განხორციელებული რეფორმების უქჩრდილებში. ნაშრომის კვლევის შედეგად მიღებული თეორიული და მეთოდოლოგიური შედეგები გამოადგებათ დემოგრაფიული პრობლემების საკითხებით დაინტერესებულ მეცნიერ-მუშაკებს, მკვლევარებს, დოქტორანტებს, მაგისტრანტებსა და ბაკალავრიატის სტუდენტებს, ხოლო კვლევის პრაქტიკული შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვადასხვა აღმასრულებელი ორგანოების მუშაკთა მიერ.

რეკომენდაციები. საქართველოში ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე მიმდინარე დემოგრაფიული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით ხელისუფლებამ მიზანშეწონილია განახორციელოს დემოგრაფიული პოლიტიკა:

1. რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს, ერთი მხრივ საქართველოში არსებული დემოგრაფიული პრობლემების შესწავლა, გაანალიზება და მისი მასშტაბების განსაზღვრა, ხოლო, მეორე მხრივ, დემოგრაფიული კრიზისის გადრმავეების შეჩერება და არსებული სიტუაციის სტაბილიზება, შემდეგ კი საქართველოს დემოგრაფიული აღორძინების ფონდის შექმნით არსებული ვითარების გაუმჯობესება (უფასო მშობიარობა; მშობიარობისას შევებულებისა და ანაზღაურების სისტემის გაუმჯობესება, დახმარება მრავალშვილიან ოჯახებზე, რაც მოსახლეობის გამრავლებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს), რაც ხელს შეუწყობს დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტის გზების დასახვას და ღონისძიებების შემუშავებას;

2. რაც უნდა ითვალისწინებდეს როგორც ში

და ასევე გარე ფართო მასშტაბიანი მიგრაციული პროცესების შეჩერებას, მათ შორის: -Sida მიგრაციული პროცესის შეჩერებისათვის განახორციელოს შესაბამისი დაფინანსება სოფლად ფერმერული მეურნეობის განვითარებისათვის, რასაც თან უნდა ახლდეს დასაქმების დონის ზრდა. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფოს მიერ შემუშავებული პოლიტიკა იქნება განმსაზღვრელი იმისა, თუ რამდენად შეუწყობს ხელს მოსახლეობას დაჩეს სოფლად.

- გარე მიგრაციული პროცესის შეჩერებისათვის განახორციელოს, როგორც ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროგრამები ასევე შეიმუშაოს და რეალიზება გაუკეთოს უსაფ-

რთხო დემოგრაფიული განვითარების პოლიტიკას.

3. რომელიც უნდა ითვალისწინებდეს მოკვდავობის შემცირებას და მასთან შობადობის სტიმულირებას რომლის მიმართაც ამოქმედებული საყოველთაო დაზღვევა თავის მხრივ საწყის ეტაპზე ეფექტის მომტანია. ქართველი დემოგრაფების მოსაზრებებით თანამედროვე ეტაპზე ხელისუფლების მოწოდებები (საყოველთაო დაზღვევა) არ არის შობადობის ზრდის საფუძველი, რადგან აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრა შესაძლებელია საზოგადოების ცხოვრების დონის გაუმჯობესებით.

ლიტერატურა/REFERENCES

1. „მიგრაციული პროცესები თანამედროვე გლობალიზებად მსოფლიოში“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიგრაციის კვლევის ცენტრი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2005
 2. „დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, შრომების კრებული, თბილისი 2014
 3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, 2000-2016 წლები
 4. <http://www.ambioni.ge/saqartvelo-demografiuli-katastrofis-winase>
 5. <http://www.hwngo.org.ge/analytics/54-demografiuli-mdgomareoba-saqartveloshi>
-
1. Migration processes in the modern globalized world”, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Research Center of Migration, Published by Tbilisi University, Tbilisi 2005
 2. „Problems of Demography and sociology”, Iliia state University Institute of Demography and sociology, Digest of articles, Tbilisi 2014
 3. Data of the national statistical department of Georgia, 2000-2016